



საქმე №18/373-14

**გ ა ნ ა ჩ ე ნ ი**  
საქართველოს სახელით

11 ივლისი, 2014 წელი

ქ.თბილისი

**თბილისის სააპელაციო სასამართლოს  
სისხლის სამართლის საქმეთა პალატის  
მოსამართლე: კახაბერ მაჭავარიანმა**

**ნანა უნდილაშვილის მდივნობით,**

**პროკურორის: მურად მნათობიშვილის  
მსჯავრდებულის: გ. ბ.-ს  
ადვოკატის: ვ. ნ.-ს**

**მონაწილეობით,**

მსჯავრდებულ გ. ჯ.-ს ძე ბ.-ს ინტერესების დამცველი ადვოკატის სააპელაციო საჩივრის საფუძველზე განიხილა სისხლის სამართლის საქმე გ. ჯ.-ს ძე ბ.-ს მიმართ, დაბადებულის XXXX წლის XX აპრილს, საქართველოს მოქალაქის, ნასამართლობის მქონის, საშუალო განათლების მქონის, დასაოჯახებელის, ფაქტობრივად მცხოვრების: ქ. ტ., ტ.-ს ქ.NX-ში, ამჟამად პატიმრის, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 379-ე მუხლის პირველი ნაწილით.

**აღწერილობით - სამოტივაციო ნაწილი:**

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 28 აპრილის განაჩენით გ. ბ. ცნობილ იქნა დამნაშავედ (2006 წლის 28 აპრილამდე მოქმედი რედაქციით) საქართველოს სსკ-ის 379-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 2(ორი)წლის ვადით. 2012 წლის 28 დეკემბრის „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის თანახმად, ¼-ით შეუმცირდა დანიშნული სასჯელი და განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 1(ერთი)წლის და 6(ექვსი)თვის ვადით. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, მცხეთის რაიონული სასამართლოს 1993 წლის 16 ნოემბრის განაჩენით დანიშნული და ამავე სასამართლოს 2013 წლის 6 მარტის განჩინებით განსაზღვრული სასჯელის (6(ექვსი)წლის, 4(ოთხი)თვის და 15(თხუთმეტი)დღის) მოუხდელი ნაწილი (4(ოთხი) წელი, 2(ორი)თვე და 14(თოთხმეტი)დღე ნაწილობრივ დაემატა მოცემული განაჩენით დანიშნულ სასჯელს და საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით,

სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 2(ორი)წლის და 6(ექვსი)თვის ვადით.

მსჯავრდებულ გ. ბ.-ს მსჯავრი დაედო მასში, რომ მან ჩაიდინა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებიდან გაქცევა, რაც გამოიხატა შემდეგში:

გ. ბ., მცხეთის რაიონული სასამართლოს 1993 წლის 16 ნოემბრის განაჩენით, ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს რესპუბლიკის სსკ-ის 152-ე მუხლის მე-2 ნაწილის პირველი და მე-4 პუნქტებით და სსკ-ის 238-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის (1960 წლის რედაქცია) და მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 8(რვა)წლის ვადით, რასაც ნაწილობრივ დაემატა ქ.თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს 1992 წლის 23 სექტემბრის განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი და საბოლოოდ, განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 8(რვა)წლის და 6(ექვსი)ვადით. გ. ბ. დანიშნულ სასჯელს 1993 წლის 13 დეკემბრიდან იხდიდა რუსთავის N2-ე შრომა-გასწორების კოლონიაში, საიდანაც მასზე დაკისრებული სასჯელისგან თავის არიდების მიზნით განიზრახა გაქცევა. განზრახვის აღსასრულებლად 1995 წლის 26 ივლისს, დაახლოებით დამის 04:00 საათზე, გ. ბ. გადავიდა კოლონიის ადმინისტრაციული კორპუსის სახურავზე, გაიქცა და მიიმალა. გ. ბ. ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემული იქნა 1995 წლის 31 აგვისტოს, საქართველოს სსკ-ის 203-ე მუხლის პირველი ნაწილით(1960 წლის რედაქცია). 1995 წლის 31 აგვისტოს დადგენილებით აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა წინასწარი პატიმრობა და იმავე დღეს მის მიმართ გამოცხადდა ძებნა. გ. ბ. დაკავებული იქნა 2013 წლის 21 ნოემბერს და 2013 წლის 11 დეკემბერს მისი ქმედება დაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის 379-ე მუხლის პირველი ნაწილით (1999 წლის 22 ივლისის რედაქციით).

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 28 აპრილის განაჩენი, სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულის ინტერესების დამცველმა ადვოკატმა, რომელმაც მოითხოვა განაჩენის გაუქმება და გ. ბ.-ს მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო.

სააპელაციო პალატაში საქმის განხილვისას, ბრალდების მხარემ მოითხოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის ძალაში დატოვება.

პალატამ განიხილა მოცემული სისხლის სამართლის საქმე, შეამოწმა წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრის საფუძვლიანობა, შეაფასა საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებები და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

მსჯავრდებულმა გ. ბ.-მ სააპელაციო პალატაში სადაოდ არ გახადა საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებები და მის მიერ საქართველოს სსკ-ის 379-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა, თუმცა მოითხოვა მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო. კერძოდ, სააპელაციო საჩივარში აპელანტი მიუთითებს, რომ მსჯავრდებულის მიმართ ხანდაზმულობის საკითხი უნდა გადაწყდეს მის მიერ დანაშაულის ჩადენის დროს მოქმედი 1960 წლის რედაქციის, სისხლის სამართლის კოდექსის 49-ე და 50-ე მუხლების მოთხოვნათა შესაბამისად. ამასთან სასამართლოს მიერ უგულველყოფილია 2000 წლის 5 მაისამდე მოქმედი რედაქციით, სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლის პირველი ნაწილი, რომლის მიხედვით „სისხლის სამართლის კანონი, რომელიც აუქმებს ქმედების დანაშაულებრიობას, ან ამსუბუქებს სასჯელს ან სხვაგვარად აუმჯობესებს დამნაშავის მდგომარეობას, აქვს უკუძალა“. აპელანტის აზრით, პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა და არგუმენტაცია ქმედების ჩადენის დროს მოქმედი საქართველოს სსკ-ის 49-ე და 50-ე მუხლებთან მიმართებაში სრულიად არარელევანტურია, ვინაიდან აღნიშნული მუხლების თანახმად, მოსამართლე წყვეტს მხოლოდ ისეთი დანაშაულის ჩამდენი ბრალდებულის ან მსჯავრდებულის მიმართ ხანდაზმულობის შეფარდების საკითხს,

რომლისთვისაც შეიძლება დაინიშნოს ან უკვე დაინიშნა სიკვდილით დასჯა ან უვადო თავისუფლების აღკვეთა, ხოლო, თუ მოსამართლემ ასეთ შემთხვევაში ვერ გადაწყვიტა ხანდაზმულობის საკითხის შეფარდება, მაშინ ვალდებულია მას შეუფარდოს ვადიანი თავისუფლების აღკვეთა. სხვა შემთხვევაში ხანდაზმულობის საკითხის შეფარდებას ითვალისწინებს კანონი. ამდენად, ვინაიდან გ. ბ.-ს ძებნაში ყოფნისას 15 წელზე მეტი ხნის განმავლობაში არავითარი დანაშაული არ ჩაუდენია, მასზე უნდა გავრცელდეს კანონის აღნიშნული მოთხოვნა და მის მიმართ უნდა შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა.

პალატა ვერ გაიზიარებს დაცვის მხარის მიერ 1960 წლის რედაქციით, სისხლის სამართლის კოდექსის 49-ე და 50-ე მუხლებით ასეთ განმარტებას, რადგანაც ის ეწინააღმდეგება აღნიშნული მუხლებით დადგენილ რეგულაციებს. კერძოდ, საქმის მასალებით დადგენილია, რომ გ. ბ. 1995 წლის 31 აგვისტოს ბრალდებულის სახით პასუხისგებაში იქნა მიცემული საქართველოს სსკ-ის 203-ე მუხლის პირველი ნაწილით, იმავე დღეს აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა პატიმრობა და გამოცხადდა ძებნა. 1960 წლის რედაქციით, რომელიც მოქმედებდა მსჯავრდებულის მიერ დანაშაულის ჩადენის დროს, საქართველოს სსკ-ის 49-ე მუხლის თანახმად, „ხანდაზმულობის დინება ჩერდება, თუ დანაშაულის ჩამდენი პირი დაემალება გამოძიებას ან სასამართლოს. ამ შემთხვევაში ხანდაზმულობის დინება განახლდება პირის დაკავების ან ბრალის აღიარებით მისი გამოცხადების მომენტიდან, ამასთან, ეს პირი არ შეიძლება მიცემული იქნეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში, თუ დანაშაულის ჩადენის დღიდან გავიდა თხუთმეტი წელი და ხანდაზმულობა არ ყოფილა შეწყვეტილი ახალი დანაშაულის ჩადენით“.

პალატა განმარტავს, რომ აღნიშნული ნორმა თავისი შინაარსით ხანდაზმულობის საკითხს არეგულირებს ორ შემთხვევაში: პირველი, როდესაც პირი ჩადენილი დანაშაულისათვის მიცემულია სისხლისსამართლის პასუხისგებაში და ემალება გამოძიებას ან სასამართლოს, რასაც ადგილი აქვს მოცემულ შემთხვევაში, მეორე კი, როდესაც პირს ჩადენილი აქვს დანაშაული და არ არის ამისთვის პასუხისგებაში მიცემული. მუხლში მითითებულ სიტყვებში: „ამასთან ეს პირი“ იგულისხმება არა ის პირი, რომელიც ძებნაშია, რაზეც აპელირებს აპელანტი, არამედ ის პირი, ვისაც დანაშაული ჩადენილი აქვს და არ არის სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემული. აღნიშნული დასტურდება თვით ნორმის ჩანაწერიდან, სადაც მითითებულია, რომ „ამასთან, ეს პირი არ შეიძლება პასუხისგებაში იქნეს მიცემული“. სწორედ ამიტომ პირველი ინსტანციის სასამართლომ, სავსებით სამართლიანად მიუთითა განაჩენში, რომ 15-წლიანი ხანდაზმულობის ვადას კანონმდებელი უკავშირებს პირის პასუხისგებაში მიცემას და ბრალის წაყენებას.

ამდენად, აპელანტის მტკიცება იმასთან დაკავშირებით, რომ ვინაიდან გ. ბ.-ს ძებნაში ყოფნისას 15 წელზე მეტი ხნის განმავლობაში არავითარი დანაშაული არ ჩაუდენია და აქედან გამომდინარე მის მიმართ უნდა შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა, სამართლებრივ საფუძველს მოკლებულია.

ამასთან ერთად, ვინაიდან არ არსებობს მსჯავრდებულის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის საფუძველი, შესაბამისად, არ არსებობს საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის საფუძველზე მცხეთის რაიონული სასამართლოს 1993 წლის 16 ნოემბრის განაჩენით დაინიშნული სასჯელის მოხდისგან განთავისუფლების საფუძველი.

აპელანტი სააპელაციო საჩივარში უთითებს, რომ მსჯავრდებულის მიმართ ხანდაზმულობის საკითხის გადაწყვეტისას სასამართლოს მხედველობაში უნდა მიეღო 2000 წლის 5 მაისამდე მოქმედი სსკ-ის მე-3 მუხლის პირველი ნაწილი, სადაც მითითებულია, რომ „სისხლის სამართლის კანონს, რომელიც აუქმებს ქმედების დანაშაულებრიობას, ამსუბუქებს სასჯელს ან სხვაგვარად აუმჯობესებს დამნაშავის მდგომარეობას, აქვს უკუძალა“.

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ქმედების დანაშაულებრიობა არ გაუქმებულა, სასჯელთან მიმართებაში პირველი ინსტანციის სასამართლომ იმსჯელა, ხოლო სააპელაციო

პალატაში საქმის განხილვისას დაცვის მხარემ ვერ დაასაბუთა მსჯავრდებულის მიერ დანაშაულის ჩადენიდან განაჩენის გამოტანამდე სხვაგვარად სამართლებრივად როგორ გაუმჯობესდებოდა მისი მდგომარეობა. მსჯავრდებულის განმარტება იმასთან დაკავშირებით, რომ სსკ-ის 49-ე მუხლის მოთხოვნა „ამასთან ეს პირი არ შეიძლება პასუხისგებაში იქნეს მიცემული“, კავშირშია სსკ-ის მე-3 მუხლის პირველ ნაწილთან, პალატა ვერ გაიზიარებს, რადგანაც სამართლებრივად ერთი ნორმა მეორეს არანაირად არ უკავშირდება.

პალატა განმარტავს, რომ იმ შემთხვევაშიც კი თუ აღნიშნული პერიოდის განმავლობაში მსჯავრდებულის სამართლებრივი მდგომარეობა „სხვაგვარად გაუმჯობესდებოდა“ სასამართლო მაინც ვერ იმსჯელებდა 2000 წლის 5 მაისამდე მოქმედი რედაქციის, საქართველოს სსკ-ის მე-3 მუხლის პირველი ნაწილით, რადგანაც საქართველოს სსკ-ის 1999 წლის 22 ივლისის რედაქცია, სადაც მითითებული იქნა სსკ-ის მე-3 მუხლის პირველ ნაწილში სიტყვები „სხვაგვარად გაუმჯობესებს“ ძალაში უნდა შესულიყო 2000 წლის 1 ივნისიდან. აღნიშნულ მუხლში 2000 წლის 5 მაისს განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე აღნიშნული სიტყვები ამოღებული იქნა და 1999 წლის 22 ივლისის რედაქცია ძალაში შევიდა მითითებული ცვლილებების გათვალისწინებით. ამდენად, მსჯავრდებულისათვის დადებით შემთხვევაშიც კი სასამართლო ვერ გამოიყენებდა ძალაში ჯერ კიდევ არ შესულ ნორმას.

აპელანტი მიუთითებს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ მსჯავრდებულს სასჯელის სახე და ზომა, კანონის დროში მოქმედების პრინციპის დარღვევით დაუნიშნა. მიუხედავად იმისა, რომ კანონი რამოდენიმეჯერ შეიცვალა შემსუბუქების კუთხით, სასამართლომ ყველაზე მძიმე სახე გამოიყენა და ისე განუსაზღვრა მას სასჯელი.

სააპელაციო ინსტანციაში საქმის განხილვისას, აღნიშნულ პოზიციას დაეთანხმა მსჯავრდებული გ. ბ., რომელმაც თავის საბოლოო სიტყვაში განმარტა, რომ მას მსჯავრი უნდა დადებოდა სსკ-ის 203-ე მუხლის პირველი ნაწილით (1960 წლის რედაქცია), რადგანაც აღნიშნული მუხლის სანქციის მაქსიმუმი იყო 3 წელი, სასამართლომ კი მას მსჯავრი დადო უფრო მძიმე მუხლით.

სააპელაციო პალატა ვერ გაიზიარებს აღნიშნულ პოზიციას, რადგანაც 1960 წლის რედაქციით, სისხლის სამართლის კოდექსის 203-ე მუხლის პირველი ნაწილი სასჯელის ზომად ითვალისწინებდა 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთას და არა 3 წლამდე, როგორც ამას აპელანტი მიუთითებს. 1999 წლის 22 ივლისის რედაქციის სისხლის სამართლის კოდექსით, 2006 წლის 28 აპრილამდე მოქმედი რედაქცია სსკ-ის 379-ე მუხლის პირველი ნაწილის სანქცია სასჯელის ზომად ითვალისწინებდა 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთას, ხოლო დღეის მდგომარეობით 4 წლამდე თავისუფლების აღკვეთას. ამიტომ სასამართლომ სსკ-ის მე-3 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად მას მსჯავრი დასდო 2006 წლის 28 აპრილამდე მოქმედი რედაქციით.

პალატა განმარტავს, რომ 203-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სასჯელის უმდაბლესი ზღვარი იყო 3 თვე, ხოლო სსკ-ის 379-ე მუხლის პირველი ნაწილის სანქციის უმდაბლესი ზღვარი იყო 6 თვე, ამის გათვალისწინებით გ. ბ.-ს მსჯავრი უნდა დასდებოდა სსკ-ის 203-ე მუხლის პირველი ნაწილით, თუმცა ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ მსჯავრდებულის მიმართ დანიშნულ სასჯელზე გავრცელდა 2012 წლის 28 დეკემბრის „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლი, აღნიშნულ კანონში კი სსკ-ის 203-ე მუხლი არ ფიგურირებს. ამდენად, თუ მსჯავრდებულის ქმედება დაკვალიფიცირდებოდა სსკ-ის 203-ე მუხლით, ამნისტიის გავრცელების შემთხვევაში, ის შესაბამისობაში იქნებოდა მოსაყვანი სსკ-ის 379-ე მუხლის პირველ ნაწილთან.

ამასთან, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის გარემოება, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 1960 წლის რედაქცია ახლა მოქმედი რედაქციისგან განსხვავებით დანასაუღლს არ ყოფდა კატეგორიების მიხედვით.

გარდა ამისა, სააპელაციო საჩივარში აპელანტმა მიუთითა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ განაჩენში არ გაითვალისწინა, მსჯავრდებულის რუსეთის ფედერაციაში 10 თვით

პატიმრობაში ყოფნის ფაქტი. აღნიშნულის დასადასტურებლად წარმოადგინა რ.-ს ფედერაციის, თ.-ს რესპუბლიკის ნიჟნოკამენსკის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 7 თებერვლის დადგენილება. აღნიშნული დადგენილების თანახმად, გ. ბ.-ს, რ.-ს ფედერაციის ტერიტორიაზე, სამიგრაციო აღრიცხვის რეჟიმის ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის დაენიშნა ჯარიმა 2 000 მანეთის ოდენობით და იძულებითი გამოძევება რ.-ს ფედერაციის ტერიტორიიდან.

პალატა მხედველობაში იღებს იმ გარემოებას, რომ გ. ბ.-ს, რ.-ს ფედერაციაში თავისუფლების აღკვეთის პირობებში ყოფნა დაკავშირებული იყო მისი მხრიდან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევასთან და სამართლებრივად არანაირ კავშირში არ არის მის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე ჩადენილ დანაშაულთან და შესაბამისად, ძებნაში ყოფნასთან. აქედან გამომდინარე, არ არსებობს სამართლებრივი საფუძველი, რათა მსჯავრდებულის რ.-ს ფედერაციაში, თავისუფლების აღკვეთის პირობებში ყოფნის ვადა გათვალისწინებული იქნეს საქართველოში ჩადენილი დანაშაულისათვის, განაჩენით სასჯელის დანიშვნისას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა მიიჩნევს, რომ აპელანტის სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა უსაფუძვლო და დაუსაბუთებელია და იგი არ უნდა იქნეს დაკმაყოფილებული.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 28 აპრილის განაჩენში გაკეთებული სამართლებრივი შეფასებები შეესაბამება მსჯავრდებულის მიერ დანაშაულის ჩადენის დროს მოქმედ, როგორც მატერიალურ, ისე საპროცესო ნორმებს. განაჩენი არის კანონიერი, დასაბუთებული, სამართლიანი და იგი უნდა დარცეს უცვლელად.

### ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი :

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 535 და 536-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და 2012 წლის 28 დეკემბრის „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონით და

### დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. მსჯავრდებულ გ. ბ.-ს ინტერესების დამცველი ადვოკატის სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდეს;

2. რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 28 აპრილის განაჩენი დარჩეს უცვლელი;

3. გ. ბ. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს (2006 წლის 28 აპრილამდე მოქმედი რედაქციით) საქართველოს სსკ-ის 379-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 2(ორი)წლის ვადით. 2012 წლის 28 დეკემბრის „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის თანახმად, 1/4-ით შეუმცირდეს დანიშნული სასჯელი და განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 1(ერთი)წლის და 6(ექვსი) თვის ვადით. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, მცხეთის რაიონული სასამართლოს 1993 წლის 16 ნოემბრის განაჩენით დანიშნული და ამავე სასამართლოს 2013 წლის 6 მარტის განჩინებით განსაზღვრული სასჯელის (6 (ექვსი) წლის, 4(ოთხი)თვისა და 15(თხუთმეტი)დღის) მოუხდელი ნაწილი (4(ოთხი) წელი, 2 (ორი) თვე და 14 (თოთხმეტი) დღე ნაწილობრივ დაემატოს მოცემული განაჩენით დანიშნულ სასჯელს და საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით, გ. ბ.-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს 2(ორი)წლით და 6(ექვსი)თვით თავისუფლების აღკვეთა.

4. მსჯავრდებულ გ. ბ.-ს მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება პატიმრობა გაუქმებულია;

*5.მსჯავრდებულ გ. ბ.-ს სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყოს დაკავების მომენტიდან - 2013 წლის 21 ნოემბრიდან;*

*6. სააპელაციო პალატის განაჩენი გამოცხადებისთანავე შედის კანონიერ ძალაში და ექვემდებარება დაუყოვნებლივ აღსრულებას;*

*7.განაჩენი შეიძლება გასაჩივრდეს საკასაციო წესით საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში, გამოცხადებიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის სააპელაციო სასამართლოს მეშვეობით.*

*მოსამართლე:*

*კ.მაჭავარიანი*